


# პროფესიონალი

№67

PROFESIONAL



შენი 2 ლარი

# შპს „დაპი +“

ზღვის მშენებლობის რაზმი



აომავანია საფუძვლად აწარმოებს დასავლეთ საქართველოში:

ქუთაისი

ზან

სონი

ზანსაფონი

სამბრანია



სამბრანია, ქ. ქუთაისი,  
აბაში ზეგონის №192.



## პარლამენტის პლენარული სხდომა

როგორც წესი, პარლამენტი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე წყვეტს მუშაობას, თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კანონმდებლები პლენარულ სხდომაზე შეიკრიბნენ. პარლამენტმა ბოლო პლენარულ სხდომაზე განხილულ საკითხებს კენჭი ვერ უყარა და პარლამენტის ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით, პლენარულ სხდომაზე განხილულ კანონპროექტებზე კენჭის საყრდელად შეიკრიბნენ.

პარლამენტმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ 31 საკითხზე გამართა კენჭისყრა. მათ შორის, მესამე - საბოლოო მოსმენით მიიღო კანონპროექტები: „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისი თანმდევი კანონპროექტები; „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტი და მისი თანმდევი კანონპროექტები; „საქართვე-

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და მისი თანმდევი კანონპროექტები.

პარლამენტმა საბოლოო, მესამე მოსმენით მიიღო ასევე კანონპროექტთა პაკეტი, რომლის მიხედვით ცვლილებები შედის კანონებში „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“, აგრეთვე „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. მნიშვნელოვანია, რომ ამიერიდან საჯარო საქმიანობად აღარ ჩაითვლება საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიებში საქმიანობა, და შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრს, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, რომლებიც იღებენ პენსიას, კომპენსაციას ან სოციალურ პაკეტს (მთავრობის დადგენილების საფუძველზე), არ შეუწყდებათ სახელმწიფო პენსია, კომპენსაცია და სოციალური პაკეტი.

პარლამენტმა რამდენიმე კანონპროექტი პირველი და მეორე მოსმენითაც მიიღო.



ლოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (პროექტი ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მარეგულირებელ ნორმებს); „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ( რომლის მიხედვით, კანონის მოქმედება არ გავრცელდება სისხლის კომპონენტების დარიგება-გაცემასა და მის განკარგვაზე); „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელთა მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე დაექვემდებარება ატესტაციას და ამავე დროს უქმდება კანონის ის ნორმა, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ჩაითვლებოდა მოვალეობის შემსრულებლად; „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და

პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, პლენარული სხდომის დღის წესრიგში აღარ შევიდა საკითხი პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ. პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ინფორმაციით, მომავალი წლის ბიუჯეტის ზრდა არ იგეგმება, მოხდება ბიუჯეტის შიდა მუხლებს შორის თანხების გადანაწილება, რაზეც ხაზინადართა საბჭო იმსჯელებს.

დავით უსუფაშვილის განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე პარლამენტის პლენარული სხდომა აღარ გაიმართება. მომდევნო პლენარული სხდომა შედგება საჯარაუდოდ, ივლისის პირველ ნახევარში დავით უსუფაშვილმა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, გამოაცხადა პარლამენტის იმ წევრთა გვარები, რომლებმაც მათის განმავლობაში რამდენიმე პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გააცდინეს და ამის გამო ხელფასი დაექვევითება.

## აზრარულ საიოთხოთა ჯოიბიბის სხლომ



ლორის დაავადებოთა პრევენციის შესახებ ინფორმაცი, აგრარულ საკითხოთა კომიტეტის წევრებს, სსიპ. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსმა დემნა ხელაიამ მიაწოდა. მან დეპუტატებს ღორის გადამდები დაავადებებისაგან დაცვის ზოგადი ღონისძიებები გააცნო.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა გადამდები დაავადებების პრევენციის და ინფექციის პოტენციურ წყაროსთან კონტაქტის თავიდან აცილების გზებზე ისაუბრა.

მისი თქმით, აუცილებელია ინფექციის გადაცემისა და ცირკულაციის გზების გაგება, დაავადების სახის ადრეული ამოცნობა, დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად

სწრაფი მოქმედება და პოტენციურ ინფიცირებულ ღორებთან კონტაქტის თავიდან აცილება.

მომხსენებელმა დღეს ქვეყანაში გავრცელებულ დაავადებოთა სხვადასხვა სახეობებზე ისაუბრა. მისი თქმით, დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია ლაბორატორიული კვლევის ჩატარება.

დემნა ხელაიამ მთავარ პრობლემად ცხოველების არადროული ვაქცინაცია და ვეტერინარების არასაკმარისი ოდენობით არსებობა დაასახელა.

კომიტეტის წევრის, გიგა ბუკიას განცხადებით, მოსახლეობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას, ცხოველის ვაქცინაციის აუცილებლობის შესახებ.

კომიტეტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა კი, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსს, ფართო საკომუნიკაციო აქტივობებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ყველა მაჟორიტარ დეპუტატს უნდა გადაეცეს საინფორმაციო მასალა, „სახელმძღვანელო ფერმერებისათვის“ (მეღორეობა), რათა დეპუტატების დახმარებით, ყველა რეგიონში, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია, რომელშიც ზოგადი რეკომენდაციები იქნება გაწერილი ღორების მოვლისა და მათი ვაქცინაციის პირობების შესახებ. ამასთან, გიგლა აგულაშვილის თქმით, უნდა დაიწყოს დიალოგი კომიტეტსა და სააგენტოს შორის, რომ ბიუჯეტის ჩაშლილ კომპონენტებში, ვაქცინების შემოტანისთვის სახელმწიფოს თანამონაწილეობა მოხერხდეს .

## საქართველოს ვარლამების თავდაცვისა და უბირობის ჯოიბიბის თავმჯდომარის, ირალი სსიიბილი საეუბო ვიიბი ჯოლონეთის რესუბლიიბი



ირაკლი სესიიშვილმა შეხვედრები პოლონეთის პარლამენტში, სეიბისა და სენატის ეროვნული თავდაცვის კომიტეტების თავმჯდომარებთან, ასევე, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელთან და ამავე დელეგაციის წევრებთან გამართა. შეხვედრის ძირითადი თემა სექტემბერში, უელსში დაგეგმილ ნატო-ს სამიტამდე საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის მხარდაჭერის საკითხი იყო. მხარეებმა, ასევე, განიხილეს პოლონეთისა და საქართველოს შორის საპარლამენტო ურთიერთობების გაღრმავების საკითხები, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში და დასახეს თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამასთან, საუბარი შეესო იენისში დაგეგმილი საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ჭრილში საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობას. პოლონურმა მხარემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ურყევი მხარდაჭერა დაადასტურა.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ შეხვედრა გამართა თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილის მთავარ მრჩეველთან, აგნიეშკა მაგჯაკა-მიშევსკასთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის საკითხი, განსაკუთრებით, ნატო-ს მოახლოებულ სამიტზე საქართველოსთვის ადეკვატური გზავნილების დაფიქსირების ჭრილში. მხარეებმა, ასევე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის ძირითად ასპექტებზე და სამომავლო პერსპექტივებზე, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე და ქვეყნის მიერ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობაზე.



# უამრავი სახითხია გაღასაწყვები



აპთანდილ თაღუმაძე

უკანასკნელ წლებში დანერგილი სიახლეებისა და პრინციპულად ახალი სტრატეგიული მიმართულებების მიუხედავად, საქართველოში რეგიონული განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია, მისი დამტკიცებისა და განხორციელების პრაქტიკა სრულყოფას საჭიროებს. მეცნიერულად დამუშავებული პროგრამები, აუცილებელი პირობაა ტერიტორიულ ერთეულებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების განაწილების ოპტიმიზაცია და ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესებს და რეგიონის დამატებით სტიმულირებას მოახდენს. ეს საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ფონზე, რომლის შედეგადაც, ძალაში შევა მთელი რიგი რეფორმები, რაც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებით აღჭურვას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მეტ ჩართულობას. სასოფლო დასახლებაში იფუნქციონირებს კრება, სადაც აირჩევა თავმჯდომარე და წარმომადგენელთა საბჭოები. მართალია, ამ თვითმმართველ ორგანოებს არ ექნებათ საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, მაგრამ ექნებათ “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის და შემდგომი მონიტორინგის ფუნქცია. საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად, ზემოსხენეული სიახლეების მოლოდინშია სამტრედიაც. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **იშხარ შუბლაძე** და რაიონის გამგებელი ბატონი **აპთანდილ თაღუმაძე** სწორედ დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და სამომავლო გეგმების თაობაზე გვესაუბრნენ...



**– ბატონო ემზარ, რა პროექტები განხორციელდა უკანასკნელ პერიოდში?**

– ძირეული პროექტების განხორციელებას ჯერ კიდევ 2008 წლიდან ჩავუყარეთ საფუძველი. ვინაიდან ქალაქში ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, არ არსებობდა, პირველ რიგში, გზების მშენებლობა დაიწყო, რომელიც მაშინ რაიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდებოდა. გარდა ამისა, მოწესრიგდა წყლის სისტემა. საკუთარი სახსრებით ავაშენეთ ახალი სამედიცინო დახმარების შენობა, საავადმყოფო – სადაც ამჟამად ჯეო-ჰოსპიტალია განთავსებული და სამაშველო-სახანძრო სამსახურის ოფისი.

**– ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ქალაქს აწუხებს?**

– ძირითადი პრობლემა უმუშევრობა და მძიმე სოციალური ფონი გახლავთ. ვფიქრობ, ამის მოგვარება მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვით არის შესაძლებელი. დარწმუნებული ვარ, როდესაც ახალი საშუალო ადგილები შეიქმნება, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება. მოგეხსენებათ, სამტრედიის მთავარ ხერხემალს რკინიგზა წარმოადგენს, სადაც მხოლოდ ჩვენი რაიონის მასშტაბით 1500-მდე ადამიანი დასაქმებული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სოფლის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცება. ახლახან, გომის თემის სოფელ გომმუხაყურაში, მდინარე კაპიტონაზე მდებარე დაზიანებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციისათვის, მუნიციპალიტეტმა დამატებით 10 000 ლარი გამოჰყო.

**– სამომავლოდ რა პრიორიტეტები გაქვთ განსაზღვრული?**

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული საშუალები – მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა, ქალაქის ქუჩებში არსებული დაზიანებული ადგილების, ორმული შეკეთება, მე-ლაურის თემის სოფელ მიწაბოგირას, ხობლარის, მიმართულების და ქალაქის ქუჩების მოხრეშვითი და კოსტავას ქუჩაზე არსებული არხის მოწყობის საშუალები. გარდა ამისა, ასფალტო-ბეტონით მოპირკეთდება რესპუბლიკის, რუსთაველის,




**ემზარ შუხლაძე**

თელისას, რაზმაძის, ჯავახიშვილის და თამარ მეფის მრავალბინიანი სახლების ეზოები.

**– ცნობილია, რომ სპორტის და განსაკუთრებით ფეხბურთის დიდი სიყვარულით გამოირჩევიან...**

– რაიონის სპორტული ცხოვრების განვითარება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მოგეხსენებათ, ჩვენი რეგიონი ფეხბურთის განსაკუთრებული სიყვარულით და ტრადიციებით გამოირჩევა. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევისთანავე დაიწყო სამტრედიაში საფეხბურთო გუნდის ხელშეწყობა. ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და წელს “სამტრედიაში” უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. ამ ეტაპზე ფეხბურთის ფედერაციასთან მიმართებაში გარკვეული პრობლემები შეიქმნა, თუმცა, მიმანჩია, რომ ერთობლივი ძალისხმევით ყველაფერი მალე მოგვარდება. გარდა ამისა, საკრებულომ დადებითად გადაწყვიტა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური “სპორტული სკოლის” მიერ საჭიდაო სფეროს პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო უძრავი და მოძრავი ნივთების ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი, “ფალავანი”-სთვის უსასყიდლოდ



საკუთრებაში გადაცემისთვის თანხმობის მიცემის საკითხი.

**– ჯანდაცვის პროექტებზე რას გვეტყვი?**

– ჯანდაცვის სფეროში დაახლოებით 700 ათასი ლარი ინარჩუნდება. რაიონში ფუნქციონირებს სათნოების სახლი, სადაც მოხუცებულთა თავშესაფარია დაფუნდებული. გვაქვს უფასო სასადილო და სხვადასხვა სახის პროექტები, რითაც სოციალურად დაუცველ ოჯახებს სხვადასხვა სახის შეღავათებით ვეხმარებით.

**საუბარში სამტრედიის რაიონის გამგებელი, ბატონი ავთანდილ თაღუმაძე შემოგვიერთდა.**


**ავთანდილ თაღუმაძე:** ვეთანხმები ბატონ ემზარს და დავამატებ, რომ ჯანდაცვისა და სოციალური პროექტების მიმართულებით, ბევრი რამ, ჯერ კიდევ დასახვეწია. ყოველდღიურად უამრავი მოქალაქე გვაკითხავს, რომელთაც ვცდილობთ მაქსიმალურად დავეხმაროთ. ამ ეტაპზე თანადგომას ვუწვევთ მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომელსაც ონკოლოგიური დაავადებები აწუხებს და ერთჯერადი თანხით ვეხმარებით. შეძლებისდაგვარად ვაფინანსებთ ჩერნობილის პრობლემებთან დაკავშირებულ და ომში დაღუპულთა ოჯახებს. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა საბავშვო ბაღების დაფინანსებას, სადაც წელს 1000 აღსაზრდელი სწავლობს.

**– ბატონო ავთანდილ, თქვენ როგორ შეაფასებთ რაიონის ზოგად მდგომარეობას?**

– საბედნიეროდ, პრობლემები თანდათან გვარდება. დღეისათვის სამტრედიაში 153 ქუჩაა, რომელთაგან 100 ქუჩის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია. ქალაქი გაზიფიცირებულია და გამართულად მოქმედებს წყალმომარაგების სისტემა. ქუჩებში დამონტაჟდა ღამის გარეგანათება. აქცენტი ავიღეთ ბაღებისა და სკვერების მოწესრიგებაზე, რითიც წლების წინ სამტრედია ნამდვილად ვერ დაიტრიალებდა. ავაშენეთ თანამედროვე ადრეწვილობით და ქვაფენილით მოპირკეთებული ორი ახალი სკვერი, თავის ღამის განათებით და დასასვენებელი სკამებით. დავიწყეთ ამხანაგობების თანადაფინანსება, რომელიც სახურავების რეაბილიტაციას და შიდა კომუნიკაციების გამართვას ითვალისწინებს. თამარ მეფის ქუჩაზე ერთ სივრცეში მოვაქციეთ ფეხბურთის და კალათბურთის სტადიონები, რამაც ძალიან კარგი შედეგი გამოიღო და ბავშვები მიიზიდა.

**– გეტყობათ მომავალ თაობაზე განსაკუთრებით ზრუნავთ...**

– სამტრედიის დევიზია, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის ქალაქი გახდეს. ასეც რომ არ იყოს, მომავალი თაობის აღზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ყოველთვის პრიორიტეტულია. ჩვენი თაოსნობით და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონს, სადაც რვაასი ათასი ლარის ღირებულების ხელოვნურსაფარიანი ხალიჩა დაიგო. გვაქვს საცხენოსნო კლუბი და საცურაო აუზი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეღავათიან ფასებში შეუძლია მისვლა და დასვენება. გვყავს მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, ჩვენი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან ჭიდაობაში, ხელბურთსა



და ფრენბურთში. პირადად ჩემი დიდი სურვილია სამტრედიაში სპორტის სასახლის აშენება, რისთვისაც ძალისხმევას არ დავიშურებ.

**– ბატონო ავთანდილ, რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**

– ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი ქალაქი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული და განვითარებული იყოს. საინტერესოა, რომ სამინისტროების გამოკითხვით, ამ მიმართულებით ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე ვართ და არც ერთი პროექტი არ ჩაგვივდია. სამომავლო ღონისძიებებზე ბატონმა ემზარმა უკვე მოგახსენათ. დამატებით შემიძლია ვთქვა, რომ დავასრულებთ დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მშენებლობა. გრძელდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. გზებისა და წყალმომარაგების რეაბილიტაცია. შევიძინეთ დასუფთავების ახალი მანქანები, რაც ქალაქს კიდევ უფრო სუფთას და პეწიანს გახდის. შეხვედრა მქონდა ინდოელ ინვესტორებთან, რომლებსაც სამტრედიაში ქარხნის აშენება სურთ.





ვნახოთ, უამრავი საკითხია გადასაწყვეტი და ვფირობ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ ყველაფერი უფრო თვალნათელი გახდება.





საგზაო-სამშენებლო კომპანია

# შპს „ჭომა-გზა“



შპს „ჭომა-გზა“ 2008 წელს, უროფსიითი ინჟინერმა, ბატონმა ბარიალ გიორგაძემ დააარსა.

კომპანია, ხალხმარების საფუძვალზე, ასრულებს საგზაო-სარემონტო სამუშაოებს ქალაქ ქუთაისის ბარიტორიაზე.

შპს „ჭომა-გზა“ გვიდროდ თანამშრომლობს რიორში არსებულ ასფალტო-ბატონის ქარხნებთან და 10-12 ადამიანი ჰყავს დასაქმებულნი.


[choma.gza14@gmail.com](mailto:choma.gza14@gmail.com)

# ჰანი უნიალური თავისი ისტორიით



საქართველოს ყველა რეგიონი საინტერესოა თავისი ისტორიით, მათ შორისაა ვანის რაიონი, რომელსაც უდიდესი ყურადღება, როგორც არქეოლოგიური აღმოჩენების პოტენციურ წყაროს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქციეს. ვანის მთავარი ღირსშესანიშნაობა ანტიკური ნაქალაქარია, რომელიც 2007 წლის 24

ოქტომბრიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ვანის განაპირას ბორცვზე, რომელიც ახვლედიანების გორის სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ იქ მდებარე არქეოლოგიის მუზეუმის რეკონსტრუქცია, გარკვეული მოვლენების გამო, წინა წლებში შეჩერებული იყო. აღნიშნული სამუშაოს ჩასატარებლად, მსოფლიო ბანკის მიერ, 7 000 000 დოლარია გამოყოფილი, რაც რაიონში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ვანის რაიონშიც არსებობს, მათ შორის უმთავრესი-რაიონში სამედიცინო ცენტრის არ არსებობა. თუ, როგორ გვემავს ადგილობრივი თვითმმართველობა სოციალური პრობლემების მოგვარებას, რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება, აღნიშნულთან დაკავშირებით ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მერად ახპლაძიანი გვესაუბრა:



– ბატონო მერად, რა ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტში თქვენი დანიშნის შემდეგ?

– აღნიშნულ თანამდებობაზე 2013 წლის 27 ოქტომბერს დავინიშნე, რის შემდეგაც რაიონში ბევრი სამუშაო განხორციელდა. გასაკეთებელი ბევრი რამ დამხვდა, მათ შორის, სოფლის პროგრამით და სტიქიით მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად გამოყოფილი თანხით, დიდი მოცულობის და

ღირებულების სამუშაოები, რისი შესრულებაც, ფაქტობრივად, ნოემბრის თვეში დაიწყო. ვანი მთავორიანი ტერიტორიაა და გარკვეული პრობლემები იყო გზის, ხიდების, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებისას. ამ ხნის განმავლობაში შესრულდა დაახლოებით 2400 კუბამეტრი ნაპირსამაგრი სამუშაოები, მხედველობაში მაქვს გაბიონები რაიონის სხვადასხვა მდინარეებისა და რთული ადგილების გასამაგრებლად; 255 მღე ბოგირი და ხიდი შეიცვალა, მოეწყო დაახლოებით 66 კმ. კიუვეტი და თხრილი; მოიხრემა შიდა საუბნო გზები. სამუშაოების ღირებულებამ საერთო ჯამში 1 800 000 ლარი შეადგინა.

– 2014 წლის ბიუჯეტით რა პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი?

– უმთავრესი პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს, რაიონში საავადმყოფოს არ არსებობაა. იმედს ვიტოვებთ, რომ პრობლემა უახლოეს დროში მოგვარდება, რადგან აღნიშნულის შესახებ საქმის კურსში არიან ჯანდაცვის მინისტრი და მისი მოადგი-



ლევბი, ასევე იმერეთის გუბერნატორი ზაზა მეფარიშვილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცუდ მდგომარეობაშია სპორტული ობიექტები. თუმცა, წელს ვანის სტადიონის რეკონსტრუქციისთვის 240 000 ლარი გამოიყო და სამუშაოები უკვე დაწყებულია. ასევე უახლოეს დღეებში დაიწყება ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსის რესტავრაცია, რისთვისაც 500 000 ლარია გამოყოფილი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300 000 ლარია გათვალისწინებული ვანის კულტურის სახლის აღსადგენად, რომლის ფიზიკური მდგომარეობა არანაირ კრიტიკას არ ექვემდებარებოდა.

ცუდ მდგომარეობაშია საბავშვო ბაღები. ხუთი მათგანის რეკონსტრუქციის პროექტი უკვე მომზადდა და სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. იგეგმება რვა სკოლის რესტავრაცია. სოფელ ზედა ვანში 20 წელია სკოლა დაანგრეის და მოსახლეობას რამდენი ხანია მის მშენებლობას ჰპირდებოდნენ, თუმცა დანაპირები აქამდე არ შესრულებულა. წელს, განათლების სამინისტროს ინიციატივით, აღნიშნულ სოფელში სკოლის მშენებლობა დაიწყება, პროექტის ღირებულება 3 300 000 ლარია. წელს ასევე იგეგმება გზების მშენებლობა, რისთვისაც დაახლოებით, 2 000 000 ლარი დაიხარჯება. ამასთან, რაიონში წყლის მომარაგების სამუშაოებია დასამთავრებელი. ქალაქში 500 კომლია დაკმაყოფილებული მრიცხველებით და წელსაც იმედია, რომ 500-700 ოჯახში წყლის შეყვანა და მრიცხველების დაყენება განხორციელდება. ასევე განსახორციელებელია 700 000 ლარის ღირებულების სოფლის პროგრამა.


**— სოციალური კუთხით როგორი მდგომარეობაა რაიონში?**

— რაც შეეხება სოციალურ საკითხს, ერთჯერადი ფულადი დახმარებები გაიცემა მშობიარეებზე. დიალუზით და სხვა დაავადებულთათვის ყოველთვიური დახმარება გამოყოფილი. ერთჯერად ფულად დახმარებებს გავცემთ ასევე სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის. სამწუხაროდ, ბიუჯეტი ვერ აკმაყოფილებს რაიონის პრობლემებს, რადგან ბევრი სოციალურად გაჭირვებული ადამიანია, რომელთათვისაც 300 და 500 ლარიანი დახმარება ვერ წყვეტს მათ სოციალურ პრობლემას. რაც შეეხება ოპერაციების დაფინანსებას, ჩვენ, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ვცდილობთ მოსახლეობას დავეხმაროთ.

- რას გვეტყოდით კულტურის შესახებ?
- ვანი უნიკალურია თავის ისტორიით, რაც ანტიკურ



პერიოდს უკავშირდება. აქ აღმოჩენილია უამრავი უძველესი სამკაული, საგანძური, რომელიც ადასტურებს ამ მხარის ურთიერთობებს ინდოეთთან, საბერძნეთთან და სხვა იმ პერიოდისთვის კულტურის მქონე ქვეყნებთან. ვანში იყო მუზეუმი, რომლის რეკონსტრუქციაც დაიწყო, თუმცა ამჟამად სამუშაოები შეჩერებულია. მუზეუმის რესტავრაციისთვის ახალი ტენდერი ჩატარდება. სამუშაოებისთვის 7 000 000 დოლარია გამოყოფილი. ვვარაუდობთ, რომ მუზეუმის რეკონსტრუქციის შემდეგ, ვანში ტურიზმი კიდევ უფრო განვითარდება. ჩვენს რაიონში ლამაზი, უნიკალური ადგილებია. მაგალითად სოფელი სულორი, რომლის ჩართვაც ტურისტულ მარშრუტში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება. ამასთან, ვანში მდებარეობს მთა, რომელსაც მშვიდობის გორას ეძახიან. იქ გაგაშენებთ გივი ყიფიანის სახელობის პარკს, რომლის კეთილმოწყობაზეც 200 000 ლარი დაიხარჯება. ასე რომ, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს.





# თიანეთის მოსახლეობა ხლებადობისკენ მიდის



საქართველოს უმეტესი რაიონებისგან განსხვავებით, თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, ადგილობრივი შემოსავლის სიმცირის გამო, დეფიციტურია და ძირითადად სახელმწიფოსგან ფინანსდება. ამის მიუხედავად, მიმდინარე წელს თიანეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა რაიონისთვის მნიშვნელოვანი ოთხი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გეგმავს. თიანეთი უძველესი და დიდი ისტორიის მქონე რაიონია, რასაც აქ არსებული ისტორიული ძეგლები მოწმობს. სწორედ ამის გამო, თიანეთი

სასაღწო დღესასწაულების სიმრავლით გამოირჩევა. თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და კულტურული ღონისძიებები იგეგმება მიმდინარე წელს თიანეთში, ამასთან დაკავშირებით თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ზინი ნიქლაური** გვესაუბრა:

**– ბატონო გივი, რა ცვლილებები განხორციელდა მუნიციპალიტეტში თქვენი საკრებულოში არჩევის შემდეგ?**

– 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ არჩეული ვიქნე თიანეთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. 2007 წლის ივნისიდან კი ამირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. 2010 წლიდან მეორე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარე ვარ. თიანეთის ინფრასტრუქტურის განვითარება 2007-2008 წლებიდან დაიწყო. უამრავი მოუგვარებელი საქმე ამ პერიოდში გაკეთდა. შეკეთდა კულტურის სახლი და სპორტული დარბაზი, გარემონტდა რამოდენიმე საბავშვო ბაღი, სკოლები, სოფ. ხევსოფელში აშენდა სპორტული დარბაზი, წყალსადენები, მოიხრეშა სოფლის გზები, დაბა თიანეთში მოასფალტდა შიდა გზები,

მოწესრიგდა წყალსადენის სისტემა. ძალიან დაგვეხმარა სოფლის განვითარების პროგრამით სოფელში განსახორციელებელი პროექტები, რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად ფინანსდება თიანეთის მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის სხვადასხვა პროექტი. ამა თუ იმ პროექტის განხორციელებას სოფლის მოსახლეობა ითხოვს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით. აღნიშნული პროექტები ოთხი წელია წარმატებით მიმდინარეობს, რამაც ძალიან შეუწყო ხელი როგორც სოფლების განვითარებას, ასევე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კონკურსი ჩავატარეთ, რადგან ყოფილი გამგებელი დეპუტატობის კანდიდატი იყო და რა თქმა უნდა, უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა. ამჟამინდელი გამგებელი სწორედ კონკურსის წესით გამარჯვებულია. ფაქტობრივად, დიდი საკადრო რეორგანიზაცია არ განხორციელებულა.

**– 2014 წელს რა პროექტების განხორციელება იგეგმება?**

– 2014 წლის ბიუჯეტი 2013 წლის დეკემბერში მივიღეთ. ეს არის, როგორც ადგილობრივი შემოსავალი, ისე ტრანსფერის სახით, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ბიუჯეტი დეფიციტურია, ძირითადად სახელმწიფო გვაფინანსებს, რადგან ადგილობრივი შემოსავალი ძალიან მცირეა, დაახლოებით 400 000 ლარი, როდესაც წლიურად გაცილებით მეტი თანხა გვჭირდება. გაზაფხულზე რეგიონული განვითარების სამინისტრომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის 2 000 000 ლარი გამოგვიყო. აღნიშნული თანხა ოთხ პროექტზე გავანაწილეთ. ეს არის სოფელ ჟებოტის წყალსადენის სათავე-ნაგებობის და გაყვანილობის მოწყობა; სოფელ არტანში, მდინარე

იორზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება, რადგან როდესაც მდინარე დიდდება, ზოგიერთი სოფელი მოწყვეტილი რჩება გარესამყაროსთან და საშიშროებაა, რომ შეიძლება მდინარემ სხვა სოფლებიც წაიღოს; დაბა სიონში შიდა გზის მშენებლობა და დაბა თიანეთში სანიაღვრე



არხების მშენებლობა. თიანეთში უკვე წლებია ძველი სანიაღვრე არხი ამორტიზირებულია და წყალი ყოველი წვიმის დროს საფრთხეს უქმნის თითოეულ მოსახლეს. ესენია ჩვენი ძირითადი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც წელს უნდა განვახორციელოთ. აღნიშნულ სამუშაოებზე ტენდერი უკვე ჩატარდა, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები, რომლებთანაც უკვე გაფორმდა ხელშეკრულებები სამუშაოების წარმოებაზე. ამავე დროს, მიმდინარე წელს დაიწყო დაბა სიონი-გომბორის ასფალტო-ბეტონის გზის მშენებლობა. გასულ წელს გაკეთდა თიანეთი-ზარდიების ფინგალის მონაკვეთზე 9 კმ. ასფალტირებული გზა თავის სანიაღვრე არხებითა და ტროტუარებით. ამავე დროს, ამ მონაკვეთზე გაკეთდა 3 ხიდი. მიმდინარე წელს დაიწყო ამ გზის გაგრძელება ფინგალის მიმართულებით. 5 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა 2015 წლის ბოლოსთვის მთლიანად დამთავრდება. ამით თიანეთის მოსახლეობას გაუმჯობესდება, როგორც თბილისთან, ასევე მეზობელ რაიონებთან მიმოსვლა. ასევე, პერსპექტივაშია თიანეთი-ახმეტის გზის მშენებლობა, რაც ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით – როგორც კახეთის, ასევე აზერბაიჯანის მოსახლეობის მიმოსვლას გააადვილებს.

**- სოციალური კუთხით როგორი მდგომარეობაა რაიონში?**

– თიანეთში, სამწუხაროდ, არცერთი ქარხანა-ფაბრიკა არ მუშაობს. ჩვენთან, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობითაა დაკავებული. უკვე მეორე წელია, მთავრობის დაფინანსებით, საბარათე სისტემაა ხვნა-თესვაზე, შსამქიმიკატებისა და სოფლის მეურნეობისთვის საჭირო იარაღების შეძენაზე, რამაც მოსახლეობას დიდი სტიმული მისცა. წინა წლებთან შედარებით, დამუშავებული მიწების ფართი 4-5-ჯერ გაიზარდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსახლეობის ნაწილი საზღვარგარეთ სამუშაოდაა გასული, მათ შორის ახალგაზრდებიც და სამწუხაროა, რომ შობადობა მცირეა და თიანეთის მოსახლეობა კლებადობისკენ მიდის. სტატისტიკის მიხედვით, თიანეთში ყოველწლიურად დაახლოებით მხოლოდ 90 ბავშვი იბადება. ყოველ პირველ დაბადებულ ბავშვზე 100 ლარი, მეორეზე-200, მესამე და შემდგომ ბავშვზე 300 ლარის ოდენობის დახმარებებია გამოყოფილი. გვინდა ეს თანხები უფრო გავზარდოთ, თუმცა, ჯერჯერობით, ბიუჯეტი ამის საშუალებას არ გვაძლევს. გამოყოფილი გვაქვს თანხები გაჭირვებულთათვის, ასევე ოპერაციების დაფინანსებაზე, მედიკამენტების შესაძენად, რითაც ბევრ ადამიანს გავუწიეთ დახმარება.

**- რას გვეტყვით კულტურის სფეროზე?**

– რაც შეეხება კულტურულ ღონისძიებებს, 26 მაისს ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა. მაისის თვეში გაიმართა ასევე რეგიონალური ჩემპიონატი ძიუდოში. ივნისში დაგეგმილია ლაშქრობა კულტურულ ძეგლებზე, ასევე იგეგმება მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღსაზრდელთა ღონისძიება. 4 ივლისს რელიგიური დღესასწაული „არჩილობა“ აღინიშნება, ხოლო ივლისში რელიგიური

დღესასწაული ლაშარობაც ჩატარდება. დაგეგმილია საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება ქართულ ჭიდაობაში. მოგახსენებთ, რომ გასულ წელს ვაჟა ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაკეთდა საჭიდაო მოედანი სპორტის სამინისტროს მიერ, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვუხდით დიდ მადლობას. 2013 წელს მოვაწერეთ ხელი მემორანდუმს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან ურთიერთ თანამშრომლობაზე, რის შემდეგაც დაიწყო თანადაფინანსებით ღია კინო-თეატრის მშენებლობა, რაზეც სამინისტრომ გამოყოფა 160 000 ლარი. წელს აღნიშნული



სამუშაო დასრულდება. აგვისტოში სახალხო დღესასწაულზე „თიანეთობა 2014“-ზე დაგეგმილია, როგორც კულტურული, ისე სპორტული ღონისძიებები: დოდი, ჭიდაობა, მკლავჭიდი, სრიდოლი. ყოველი წლის აგვისტოს თვეში ტარდება თონა ქუმსიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მუსიკალური ფესტივალი „სიონის ზარები“. სექტემბერში აღინიშნება სახალხო დღესასწაული ზვარამზერობა და დაგეგმილია პოეტ ქალთა ტრადიციული კონკურსი საინტერესო ნაწარმოებების გამოსავლენად.





ჩვენს ქვეყანაში, სოფლის მეურნეობა წლების მანძილზე ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. ამ დარგს სახელმწიფოსაგან რეალური მხარდაჭერა არასდროს ჰქონია, რაც აისახა კიდევ მის სავალალო მდგომარეობაზე. საბედნიეროდ, დღეს ეს მიმართულება უკვე პრიორიტეტულად არის აღიარებული. შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების ერთმილიანი დანიშნულება, დამტკიცდა მცირემიწიანი ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი და პირველი სამუშაოებიც დაიწყო. სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავების და შენახვა-რეალიზაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მეწარმეთა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით,

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „შედავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ შეიმუშავა, რომელსაც „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ დააფინანსებს და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ განახორციელებს. პროექტი 2013 წლის მარტში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს. „შპს ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“, რომელსაც ბატონი **დავით სინარულიძე** ხელმძღვანელობს, ერთ-ერთია იმ წარმატებულ კომპანიებს შორის, რომელთაც ძალიან წაადგათ სახელმწიფოს თანადგომა და ამჟამად საკუთარი უნარიანი საქმიანობით თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვეყნეს, როგორც მოსახლეობის, ისე მთელი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში. იმის თაობაზე, თუ რეალურად რა სარგებლობა მოაქვს ქვეყნის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს და სხვადასხვა სახის შედავათებს, ბატონი დავითი თავად გვესაუბრა...

# ერთი მარცხლის ზიჯიანი გაზაფხულს ვერ მოიყვანს...

## – ბატონო დავით, მოგვიყვით თქვენი საქმიანობის შესახებ...

– დავიბადე სოფელ ნატანებში. დავამთარე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ეკონომისტის სპეციალობით და ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა – სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განხრით. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ურეკის ციტრუსების მეურნეობაში ეკონომისტად, რამაც ამ მიმართულებით მდიდარი გამოცდილება შემძინა და მეტად წამადგა დღევანდელ საქმიანობაში. „შპს ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანიის“ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი, მამაჩემის დაარსებული და აშენებულია. სიცოცხლის ბოლომდე გვერდით ვდექი და მისგან ბევრი რამ ვისწავლე. სამწუხაროდ, ერთი პერიოდი ფინანსური კრიზისის გამო, საწარმოს ამუშავება ვერ ხერხდებოდა, რაც მაშინდელმა სოციალურ-ეკონომიკურმა სიტუაციამ, მთავრობის უნიათობამ და აგრარული სექტორისადმი არალოიალურმა მიდგომამ განაპირობა.

## – ახალი მთავრობის პი-

## რობებში რა შეიცვალა?

– ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ძირეულად შეიცვალა სოფლის მეურნეობის დარგისადმი და მრეწველებისადმი დამოკიდებულება. პირადად მე, დიდი სტიმული მომცა მთავრობის ინიციატივით განხორციელებულმა და დაფინანსებულმა პროექტებმა. აგროსესხების ფექტურება არაერთხელ წარმოჩინდა და კიდევ ბევრ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. „შპს ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ სწორედ სახელმწიფოს მხარდაჭერის მექანიზმებს უმადლის თავის ახალ წარმატებებს. ჩვენს მფლობელობაშია სუბტროპიკული მეურნეობის ბაღები, კვივის, მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, ფეისოას პლანტაციები. გარდა ამისა, მიმდინარეობს ახალი საწარმოების გაშენება მორწყვის თანამედროვე სისტემებით.

## – რა ნაბიჯებმა განაპირობა თქვენი ბიზნესის განვითარება?

– მიმაჩნია, რომ ყველა საწარმო ევროპული ხარისხის შესაბამისი უნდა იყოს. საწყის ეტაპზე საქმიანობა ინფრასტრუქტურული მონახაზის ჩამოყალიბება-განვითარებით დავიწყეთ. შემდეგ, ესპანურ კომპანიასთან თანამშრომლობის შედეგად, ჩამოვიტანეთ და დავამონტაჟეთ თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარები. გაემართეთ იტალიური სამაცივრე სისტემა და შევიმუშავეთ ციტრუსის დახარისხების გეგმები. გადავამზადეთ რამოდენიმე ახალგაზრდა თანამშრომელი, რომლებიც უკვე წარმატებით ართმევენ თავს უახლესი აპარატურის მართვას. აგვისტოს ბოლოს ჩამოგვიყვანა თანამედროვე, ევროპული სტანდარტების დახარისხების საზეზი და დანადგარები, რომელსაც მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლები თავად დამონტაჟებენ და შემდგომ კონსულტაციას გაუწევენ ჩვენს სპეციალისტებს.

## – საკუთარი მეურნეობის გარდა, მოსახლეობის-



**განაც აწარმოებთ პროდუქციის მიღებას?**

– დიახ, ჩვენი კომპანიის საქმიანობა ამის საშუალებას სრულად იძლევა. წელს საწარმოში 5 ათასი ტონა ციტრუსის ჩაბარებას ვაპირებთ. ვეცდებით შევამციროთ არასტანდარტული პროდუქციის რაოდენობა და აქცენტი ხარისხზე გავაკეთოთ. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს „იუესეიდ კავკასიის“ მიერ ჩატარებულ სამუშაოს, რომელმაც შესაბამისი ცოდნა და განათლება გაუზიარა ადგილობრივ მოსახლეობას, მოსავლის მოვლა-პატრონობის მიმართულებით. მიღებულ პროდუქციას დავახარისხებთ, შევფუთავთ და საექსპორტოდ გავიტანთ.

**– ეს პროცესი რა სირთულეებთან არის დაკავშირებული?**

– ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთიანი ჯაჭვიდან ერთი რგოლიც რომ ამოვარდეს პროცესის ფუნქციონირება გარკვეულწილად შეფერხდება. შესაბამისად, აქტიუალურია, როგორც პროდუქციის ხარისხი, ისე მისი დამუშავების ტექნოლოგია, ტრანსპორტირება და ადგილზე მითანა. თუ წარმოების მასშტაბებს განვიხილავთ, ვნახავთ, რომ მხოლოდ ნედლეულის დასაფასოებლად დაახლოებით 350 ათასი ცალი პლასტმასისა თუ მუყაოს ყუთი დაგვჭირდება, რაც პატარა თანხებთან არ არის დაკავშირებული.

**– წვენების ქარხნის აშენება ხომ არ დამდგარა დღის წესრიგში?**

– ძალიან კარგი იქნებოდა რეგიონში მსგავსი სეგმენტის არსებობა, თუმცა, ჩემი გამოთვლით ასეთი ქარხნის აშენებას დაახლოებით 7 000 000 ევრო სჭირდება,

რასაც საკუთარი სახსრებით უბრალოდ ვერ გავწვდები. მოგეხსენებათ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ამიტომ საჭიროა მეტი ფინანსები, მეწარმეთა, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურების დაინტერესება და ურთიერთთანამშრომლობა. აქედან გამომდინარე, აქტიურად ვმუშაობთ, როგორც კომერციულ ბანკებთან, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. სისტემატიური კავშირი გვაქვს მინისტრთან და მის მოადგილესთან. გარდა ამისა, ვაწარმოებთ ინტენსიურ მოლაპარაკებებს სადაზღვევო კომპანიებთან, ვინაიდან, ჩვენი საქმიანობის სპეციფიკა, რასაც პროდუქციის მაღალუჭვადობა განაპირობებს, პრობლემებს ქმის ამ



კომპანიებთან ურთიერთობაში. განუწყვეტელი ძიების პროცესში ვართ, რაც სირთულეებთან გამკლავებას გვიაძვლებს.

**– სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

– სამომავლოდ „შპს ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანია“ კიდევ უფრო განვითარებას და ახალი მიმართულებების დანერგვას აპირებს. დაგეგმილია პლასტმასების ყუთების მწარმოებელი საამქროს გამართვა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა, რესტავრაცია ჩაუტარდება და ამოქმედდება კომპანიის საფირმო მაღაზია. გაუმჯობესდება თანამშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთათვის განკუთვნილი სასაძილოს პირობები. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი აქცენტი გვაქვს გადატანილი საწარმოს კერძო საკუთრებაში არსებული ციტრუსის პლანტაციების მოვლაზე და გურიაში ქართული სუბტროპიკული ხილის სანერგე მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე, რაც დარწმუნებული ვარ, დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე მთლიანად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას.





# მოდის სახლი „მანანა გოგლიჩიძე“

მოდის სახლი „მანანა გოგლიჩიძე“ ქართული მოდის ინდუსტრიაში 2013 წელს შემოვიდა.

მიუხედავად ამისა, იგი უკვე სარგებლობს წარმატებული მოდის სახლის სტატუსით და მათ პროფესიონალიზმს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც აღნიშნავენ.

მისი ხელმძღვანელი, ქველმოქმედი და ქუთაისის საპატიო მოქალაქე, წარმატებული ბიზნესმენი, ქალბატონი მანანა გოგლიჩიძეა, რომელიც „ბაგრატი 1003“-ის პრეზიდენტი და მფლობელი გახლავთ.

საქართველოში მოდის ინდუსტრიის განვითარებისთვის ქალბატონმა მანანამ უკვე განახორციელა რამოდენიმე წარმატებული პროექტი.

მოდის სახლის „მანანა გოგლიჩიძეს“ მოდელებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ჩვენებებში, სარეკლამო თუ სხვა სახის გადაღებებში; გახდნენ ამა თუ იმ დიზაინერის, კომპანიის, ცნობილი მაღაზიისა თუ ბრენდის სახე.

ახლახან, მალტაში გამართულ კონკურსში, ირმა აბრამიძე „მანგანუსის“ სახე გახდა და „მაყურებლის სიმპათიის პრიზი“ დაიმსახურა, ხოლო მოსკოვში ჩატარებულ „მის ჰორსტონის“ პრესტიჟული კონკურსის გახსნაზე ეკა ქუთათელაძე და ირმა აბრამიძე სპეციალური სტუმრის სტატუსით იყვნენ მიწვეულები, სადაც ჩვენების მონაწილეები „მანანა კოლექშენის“ სამოსით იყვნენ წარმოდგენილნი. გარდა ამისა, უახლეს მომავალში ეკა ქუთათელაძე, ბულგარეთში, მის და მისის პლანეტა 2014-ის კონკურსზე მიემგზავრება.

მოდის სახლ „მანანა გოგლიჩიძეს“, მოსკოვში გახსნილი აქვს საკუთარი წარმომადგენლობა, რომელსაც წარმატებული ქალბატონი ნათია ონიანი ხელმძღვანელობს. მას მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს ქართველ და უცხოელ დიზაინერებთან, რომელიც მსოფლიო მოდის სამყაროში საუკეთესო რეპუტაციით სარგებლობენ.




# fashion House MANANA GOGLICHIDZE



# გზაშენი XXI

საქართველო, ქ. ქუთაისი.  
ნავაზარიძის ქ. №100ა



# გასაბარებელი რეფორმა, ანუ წარმატების საიდუმლო



სწავლაში ჩადებული ფული რომ ყველაზე დიდი ინვესტიციაა, ეს აქსიომაა. რამდენად იძლევა ნორმალური განათლების მიღების საშუალებას დღევანდელი საჯარო სკოლა, ეს ცალკე თემაა იმ ყბადღებულ საკითხთან ერთად, რომელსაც განათლების სფეროში არ, თუ ვერ გატარებული რეფორმები ჰქვია. გადამზადებული, ატესტატგავლილი და თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული მოზარდი არც თუ ბევრია ქვეყანაში, თუმცა ახალ დროს რომ ახალი მოთხოვნები აქვს ეს უდავოა.

გვინდა მოვითხროთ პედაგოგზე, რომელიც მუსლჩაურელია, თავდაუზოგავად და დიდი სიყვარულით მუშაობს ოზურგეთის რაიონის, სოფელ ნატანების საჯარო სკოლის, მე-9 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად.

კლასის ხელმძღვანელის, ქალბატონი **იზოლდა გიორგაძის** კლასში 34 მოსწავლე ირიცხება. ისინი სწავლისადმი განსაკუთრებული ინტერესით და მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.

ქალბატონი იზოლდას ძალიანხმევით და მონდომებით, ბავშვები ქართული პოეზიის უდიდეს მადლს ეზიარებიან. ამის კიდევ ერთი დასტურია ის საღამო, რომელის მილიანად ქართულ პოეზიას მიეძღვნა. რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ტიციაინის, ტატოს და სხვა მგოსანთა უკვდავი ქმნილებები ბავშვებმა განსაკუთრებული სიყვარულით წაიკითხეს.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა პატარა ხელოვანებს, რომლებიც მოწიწებით კითხულობდნენ ქართული ლიტერატურის მარგალიტებს. უფროსკლასელებს არც პირველკლასელები ჩამორჩებოდნენ – ელენე პატარავამ, ლიზი წითლიძემ, მაგდა დვალიშვილმა და მარი აკობიძემ პოეზიის საღამოში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს.

ქალბატონ იზოლდა გიორგაძის მადლობა უნდა გადავუხადოთ ასეთი ბავშვების აღზრდისთვის და წარმატებები ვუსურვოთ პედაგოგიურ მოღვაწეობაში. მისი მზუნველობა ნამდვილად ესაჭიროება მომავალ თაობებს, რათა ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღიზარდონ.

**თამუნა ლაბაძე**



# 100 წელზე მეტია სალეზავების სამყაროში

„ალპინა“ - ეს არის დროში გამოცდილი ბრწყინვალე გერმანული ხარისხი, რომელსაც საუკუნოვანი ისტორია აქვს. მომხმარებლის გემოვნება და მოთხოვნები ას წელიწადზე მეტია, იყო და რჩება კომპანიის მთავარ მამოძრავებელ ძალად. ჩვენ გავაერთიანეთ პროფესიონალური გამოცდილება, ბუნებასა და გარემოზე ზრუნვის პასუხისმგებლობა.



**ალპინა** წლიდან წლამდე ატაფრთოვანებს მომხმარებელს ულტრა-საღვანო ტონების მრავალფეროვნებით და ულტრა-საღვანო სალეზავებით.

**ალპინა**, როგორც ევროპის ერთ-ერთმა წამყვანმა ბრენდმა, დიდი ხანია მოიპოვა პარტნიორობის აღიარება, რამაც გააჩინა მათთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების საფუძველი. ინტერიერისა და ფასადის სალეზავები, დეკორატიული საფარი, ლაქები, ფერადი ემალები-სა და ლაზურის უზარმაზარი არჩევანი - ხისა და მეტალის ზედაპირების დასამუშავებლად, სხვადასხვა ტიპის საგრუნტი საშუალებები - ამ ყველაფერს **ალპინა** გთავაზობთ.

**ალპინა** არის პირველი სრულფასოვანი წყალდისპერსიული მზა სალეზავი, გამხსნელისა და მავნე ნივთიერებების გარეშე. ბრენდი წლების განმავლობაში იხვეწებოდა. დღეს მან უკვე მთელი ევროპა მოიცვა. ჩვენ პირველებმა დავნერგეთ ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისი სალეზავები, რომელშიც აქროლადი ორგანული ნივთიერებების შემცველობა მინიმალურია და მათი ხვედრითი წილი საცხოვრებელ ოთახებში არ აღემატება 3%-ს. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია - **ალპინა** პრიორიტეტია.

საუკუნოვანი ისტორიის მქონე კომპანია კაპაროლი ქართველ მომხმარებელს **ალპინას** სახით სრულყოფილ ბრენდს სთავაზობს, რომელიც გათვლილია საშუალო საფასო სეგმენტზე და სალეზავებში აქროლადი ორგანული ნაერთების (ა.ო.ნ.) შემცველობის მაჩვენებლით აბსოლუტურად შეესაბამება ევროპაში დამკვიდრებულ ნორმებს.

**ალპინა** გახლავთ ბრენდი, რომელსაც არ სჭირდება პროფესიონალური გამოცდილება, ის არ განეკუთვნება პროფესიონალურ სალეზავების ტიპს და ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მცირე კონსულტაციის მერე თვითონვე დაიტანოს ყელელზე. მისი შექმნა შესაძლებელია ნებისმიერ სამშენებლო მალაზიაში და ის განეკუთვნება მომხმარებლის მიერ დამოუკიდებლად გამოყენებისთვის.

## ქართველ მომხმარებელს ალპინა რამოდენიმე სიახლას სთავაზობს:

### ალპინა ბავშვის ოთახის

ეკოლოგიურად სუფთა და სრულიად უსაფრთხო პროდუქტი ბავშვთა ოთახისათვის. აბრეშუმისებრი-მქრქალი, სპეციალური ცვეთამდეგი სალეზავი, რომელიც ბავშვის ოთახისათვის ფერთა უსაზღვრო არჩევანით გამოირჩევა. სალეზავი არ შეიცავს მავნე ნივთიერებებს. დატანისას და შრობის შემდეგ არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას ოთახის მიკროკლიმატსა და, შესაბამისად, თქვენს შვილის ჯანმრთელობაზე. ალპინა ბავშვის ოთახის სალეზავით შეღებილი ზედაპირი იოლად ინმინდება.

### ალპინა საზარეულოსა და სააბაზანოს

ეკოლოგიურად სუფთა და სრულიად უსაფრთხო პროდუქტი სველ წერტილებში ყელლების გასაფორმებლად. აბრეშუმისებრი-მქრქალი სპეციალური სალეზავი ფერთა ფართო არჩევანით. ადვილად ინმინდება, მედეგია ნესტისა და დაბინძურებისადმი, ხელს უშლის ობის გაჩენას. განეკუთვნება სპეციალურად მალატი ტენიანობის მქონე ოთახებისთვის და იცავს ყელლებსა და ჭერს დაზიანებისაგან.

100+ წელი  
საღებავების სამყაროში



# თქვენი შვილის ჯანმრთელი გარემოსათვის



**ალპინა ბავშვის ოთახის  
თქვენი შვილის საყვარელი ფერი**

- ჯანმრთელი მიკროკლიმატისათვის
- ძალიან კარგად ინმინდება
- ბავშვისათვის ყველა სასურველი ფერი



ალპინა. გამოაცოცხლე შენი სახლი



# GCBB

საქართველოს ცენტრალური  
სისხლის ბანკი -

## სიცოცხლის საღარაჯოა

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ თავისი დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის“ შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინაშე აღებულ იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“. ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შენარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ხარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მძიმე წუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილსიცოცხლის ჭიდილშია კიდევ არ დაუმძიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითვლის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის ღვივია – სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლეს საფრთხეშია!

GCBB- ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურებითა და პროდუქციით ნელ-ნელა მთელს ამიერკავკასიაში იმკვიდრებს ადგილს. უანგარო ღონისძიებებისთვის კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის პრინციპი მაგალითად: ღონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, ნთვის განმავლობაში მას და მის ოჯახს წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.

14 ივნისი, სისხლის უანგარო დონორობის მხარდასაჭერად და პატივისცემის ნიშნად, დონორთა დღის მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

**იყავი გულისხმიარი, გაიღა სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე!**



მის: ქავთარაძის 21/ა  
<http://www.geocbb.com>  
T: 218\_91\_77; 254\_53\_19


# HOTEL COMPLEX

Kutaisi, tsereteli str.  
by str. 11#2a  
Tel. +995 431 25 55 55  
+995 591 22 93 93  
fax: +995 431 24 91 88  
E-mail: info@bagrati1003.ge



# BAGRATI

WWW.BAGRATI1003.GE



საქართველო,  
ქუთაისი,  
წარბთისს 11N#2ა  
მობ.: 591 22-93-93





მშენებლობა და  
ბენეფიციარები

WWW.SUBTROPICITY.GE




1 SHEARIF KHIMSHIASHVILI STREET, BATUMI

MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100

Info@subtropiccity.ge

# სუბტროპიკსიტი

შეპყრობითი საცხოვრებელი კომპლექსი



## აქცია!



თბილისი, თარგნიშვილის №2



მ. ბათუმი, სპორტული ქუჩა №1  
19 საბინიანი მრავალ ფენიანი საცხოვრებელი კომპლექსი  
საბინო სარეაბილიტაციო ფონი ნაკვეთი ტერიტორია - 5000 კვ. მ.  
ბინები 39 კვ.მ - თბილისი

მშენებლობა დასრულებულია



ბაღდათის ქარბა

მ. ბათუმი, ჩუბუკაძის ქუჩა №4  
7 საბინიანი საცხოვრებელი სახლი  
ფართობი: 4200 კვ.მ  
შედასრულებულია: (2010-2012) ბინები 70 კვ.მ თბილისი

მშენებლობა დასრულებულია



მ. ბათუმი, სპორტული ქუჩა №53-57  
14 საბინიანი საცხოვრებელი სახლი  
ფართობი: 9870 კვ.მ /  
შედასრულებულია: (2013-2015) ბინები 41,2 კვ.მ თბილისი

